



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კუხაშვილი მალხაზ ილიას ძე



დ. კუხაშვილი ფ. მარკესი.
„მარტოობის
ასი წელი“ (ილუსტრაცია)
1980.

კუხაშვილი მალხაზ ილიას ძე (დ. 12. X. 1942, თბილისი), მხატვარი. საქართვ. დამს. მხატვარი (1986). დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკად. გრაფიკის განყ-ბა (1968), იქვე მუშაობდა პედაგოგად, 1968-2000 - საქართვ. ტელევიზიის და რადიოს კომიტეტში მხატვრად (1982-93 - მთ. მხატვარი). 1968-იდან მონაწილეობს სამხატვრო გამოფენებში. ნამუშევრები: დაზგური გრაფიკა - ოფორტების სერია „ნეპალის მოტივები“ (1973), „ფიროსმანი“ (1979), „სიტუაცია“ (1984), სერია „ნიუ“ (1995-96) და სხვ.; წიგნის გრაფიკა - გ. მარკესი „მარტოობის ასი წელი“ (1980), ს. მოემი „მოთხრობები“ (1981), პ. ლუისი „ბილიტისის სიმღერები“ (1996) და სხვ. ფერწერა - „მანანას პორტრეტი“ (1992), „სიბმარი“ (1995), „აბესალომ და ეთერი“ (1997) და სხვ. გაფორმებული აქვს ტელე და კინოფილმები: „შნო“ (1978), „გზა“ (1982, 1-5 სერია), „ლეონარდო“ (1991). გამოფენები: საქართვ. ტელევიზიისა და კინოს მხატვართა (1988, სეგ), ქართული შრიფტი (1998, სეგ); პერსონალური - მხატვრის სახლი (1983); შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნ. მუზეუმი (2015) და სხვ. მისი ნამუშევრები დაცულია დ. შევარდნაძის სახ. ეროვნ. გალერეაში, ქ. კატმანდუს მუზეუმში (ნეპალი), აშშ-ის, გერმანიის, კანადის კერძო კოლექციებში.